ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება - საქართველო
Cultural Consulate of the Embassy of the Islamic Republic of Iran - Georgia

N101359/25678

2/02/2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

პროფესორ ნანა გაფრინდაშვილს

მოგესალმებით,

უპირველეს ყოვლისა, გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პირადად თქვენ მიმართ.

მოგეხსენებათ, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად მიგვაჩნია სპარსული ენის სწავლების პროცესისა და, ზოგადად, ირანისტიკის მხარდაჭერა და ხელშეწყობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ამ მნიშვნელოვან საკითხში მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა სამეცნიერო-აკადემიური კონტაქტების გაღრმავებისა და სასწავლო პროგრამების ხელშეწყობის მიმართულებით.

ამჟამად, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის მიმართულების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით, გამოთქვამს მზადყოფნას:

- უზრუნველყოს სწავლის საფასურით სტუდენტები (მაქსიმუმ 4 სტუდენტი), რომლებიც 2023 წელს ძირითადად სპეციალობად აირჩევენ ირანისტიკას;
- ხელი შეუწყოს სამივე საფეხურის სტუდენტების ჩართვას სპარსული ენის ცოდნის ასამაღლებელ კურსებში;
- ხელი შეუწყოს ირანის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გრძელ და მოკლევადიან სასწავლო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობას;
- სტიპენდიებით უზრუნველყოს გამორჩეული სტუდენტები ირანის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად;
- მოავლინოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანელი პედაგოგი სტუდენტებთან პრაქტიკული მეცადინეობებისათვის და ამით გააგრძელოს არსებული ტრადიცია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
შემოსვლის № 1317/07
"02" 02 2023



თბილისი 0160, ლვოვის ქუჩა N 80-82. ტელ: +995 32 2253370 - 72
80/82 Lvovi St. Saburtalo dist. Tbilisi 0160. Tel: +995 32 2253370-72
www.tbilisi.icro.ir tbilisi@icro.ir

Scanned with CamScanner

N 101353/25678 — 2/02/2023

თქვენი მხრიდან ამ ინიციატივების მხარდაჭერის შემთხვევაში, გთხოვთ, განათავსოთ შესაბამისი ინფორმაცია თქვენი უნივერსიტეტის ინტერნეტ გვერდზე და მიაწოდოთ ინფორმაცია პირველკურსელ სტუდენტებს.

კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ გაწეული თანამშრომლობისათვის და გვჯერა, რომ ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სპარსული ენისა და ლიტერატურის გამორით სწავლის მსურველთა რიცხვის მატებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კიდევ მეტად დააახლოებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ირან-საქართველოს კულტურას და ჩვენს ხალხებს.

აშრაფალი ნემათი არდექანიანი

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს

კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი



თბილისი 0160, ლვოვის ქუჩა N 80-82, ტელ: +995 32 2253370 - 72
80/82 Lvovi St, Saburtalo dist, Tbilisi 0160, Tel: +995 32 2253370-72
www.tbilisi.icro.ir tbilisi@icro.ir

Scanned with CamScanner